



# საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 7  
29/06/2017

7-06-4-201706291848



## დადგენილება №7 2017 წლის 29 ივნისი

### „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 01/01/2017/ წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016280) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

შემცირდეს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **742 913** ლარით

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისი #1280 განკარგულებით შევიდეს ცვლილება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებაში. შემცირდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი **742 913** ლარით. მათ შორის:

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა - **742 913** ლარი;

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **18 036** ლარით

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისი #1280 განკარგულებით საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **18 036** ლარი.

გაიზარდოს საკუთარი შემოსავლების ნაწილში ქონების გადასახადი **67 250** ლარით

ა) საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) (ორგანიზაციული კოდი 113111) – **67250** ლარით

შესაბამისად შემცირდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:

ბ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -61.1.1.2.) – **77 032** ლარით;

გ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -61.1.1.5.) – **644 324** ლარით;

დ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -61.1.1.8.) – 21 557 ლარით;  
**შესაბამისად გაიზარდოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:**

ე) ინფრასტრუქტურის სამუშაოები, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -2.2.10.14.) – 18 036 ლარით;

ვ) გზების რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი 03 01 01 -61.1.1.5.) – 67 250 ლარით;

**შემცირდეს:**

ზ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -61.1.1.11.) – 252 393 ლარით;

**შესაბამისად გაიზარდოს:**


თ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -2.2.10.14.) – 252 393 ლარით;

**სულ შემცირდეს 657 627 ლარით**

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო